ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საწარმოთა აუდიტის პროცესში, სამართლებრივი ასპექტები და გამოწვევები

ირაკლი ხოსიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ხოსიტაშვილი

25.06.2024

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია განიხილოს აუდიტის პროცესი და მისი გაუმჯობესების მეთოდები, კონკრეტულად კი ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი თავდაპირველად წარმოაჩენს საკითხის აქტუალურობას და ამის შემდგომ მიმოიხილავს ხელოვნურ ინტელექტსა და მის დეფინიციას. ნათლადაა წარმოჩენილი ხელოვნური ინტელექტის აქტუალურობა დღევანდელ რეალობაში და მისი განხილვის აუცილებლობა, მით უმეტეს იმ რეალობაში, როდესაც ყოველდღიურად ვითარდება და იხვეწება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამები. ისინი სწრაფად და მკაფიოდ შემოიჭრნენ ადამიანის ცხოვრებაში და აქტუალური გახდა ისეთი საკითხი, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის ჩანაცვლება. მართალია ხელოვნური ინტელექტი არის დამხმარე მექანიზმი პროცესის გამარტივებისთვისს, თუმცაღა აღნიშნული შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც საწყისი კვლევა ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის ჩანაცვლების შესახებ. ხელოვნური ინტელექტის შემდგომ, განხილულია აუდიტის სახეები მეწარმე სუბიექტში საქართველოს საკანონმდებლო მოწესრიგების შესაბამისად. ამასთან, მოცემულ ეტაპზე მოყვანილია ერთ-ერთი მსხვილი მეწარმე სუბიექტის მაგალითი, რათა უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ბიზნეს (მეწარმე) სუბიექტებში აუდიტის არსებობის მნიშვნელობა და საჭიროება. მოცემულის შემდგომ, განხილულია აუდიტის ჩამოყალიბების ისტორიული რაკურსი და მისი განვითარების შემდგომი ეტაპები. ასევე მიმოიხილულია აუდიტის გამოჩენა ქართულ რეალობაში და მისი დამკვიდრება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში. ასევე განხილულია აუდიტის მომწესრიგებელი ნორმატიული ნორმების განვითარების ეტაპები და სტადიები. საბოლოოდ, წარმოჩენილია აუდიტის პროცესში ხელოვნური ინტელექტის ჩართულობის მნიშვნელობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მართალია აქ მტკიცდება, რომ ხელოვნური ინტელექტი გააუმჯობესებს და გაამარტივებს აუდიტის პროცესს, ნაშრომი ასევე განიხილავს ხელოვნურ ინტელექტთან თანმდევ უარყოფით მხარეებსა და შეშფოთებებს. ნაშრომში წარმოჩენილია ისეთი შეშფოთებები, როგორიცაა ეთიკური საფრთხეები, კომპეტენცია, ხელოვნურ ინტელექტის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეები და გამოწვევები. მიუხედავად ამისა, წარმოჩენილია დადებითი მხარეები მნიშვნელოვნად გადაწონის უარყოფით მხარეებს და შესაბამისად, ნაშრომში ხდება იმ მოსაზრების დასაბუთება, რომ ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აუდიტის პროცესს.

ABSTRACT

The purpose of the master's thesis is to discuss the audit process and its improvement methods, Specifically, through artificial intelligence. Based on the above, the thesis first presents the relevance of the issue and then reviews artificial intelligence and its definition. The relevance of artificial intelligence in today's reality and the need to consider it are clearly shown. Especially in reality, when programs based on artificial intelligence are being developed and improved every day. They have quickly and clearly invaded human life, and such an issue as the replacement of humans by artificial intelligence has become relevant. Although artificial intelligence is a helpful mechanism to simplify the process, however, it can be used, As an initial study of human replacement by artificial intelligence. After artificial intelligence, the types of audit in the entrepreneurial entity are discussed in accordance with the legal regulation of Georgia. In addition, at this stage, an example of one of the large entrepreneurial entities is given in order to more clearly show the importance and need of audit in business (entrepreneurial) entities. After this, the historical perspective of the formation of the audit and the subsequent stages of its development are discussed. The appearance of audit in the Georgian reality and its establishment in the legislative space of Georgia are also reviewed. The stages and stages of the development of normative norms regulating audit are also discussed. Finally, the importance of the involvement of artificial intelligence in the audit process, its advantages and disadvantages are presented. While it is argued here that AI will improve and simplify the audit process, the paper also discusses the downsides and concerns associated with AI. The thesis presents concerns such as ethical hazards, competence, difficulties and challenges related to the implementation of artificial intelligence. Nevertheless, the positive aspects presented significantly outweigh the negative aspects and therefore, The thesis substantiates the opinion that artificial intelligence will significantly improve the audit process.